


პროექტი RESPONSE

შავ ზღვაში საზღვაო დაბინძურების არსებულ და ახალ გამოწვევებზე რეაგირების ჩარჩო მიდგომების განვითარება

პროექტის მოკლე, ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი ანგარიში
2026 სექტემბერი

www.response-project.com

Co-funded by the European Union



პროექტის მონახაზი

პროექტის	RESPONSE
პროექტის ნომერი	101124661
პროექტის დასახელება	შავ ზღვაში საზღვაო დაბინძურების არსებულ და ახალ გამოწვევებზე რეაგირების ჩარჩო მიდგომების განვითარება
პროგრამა	ევროპის საზღვაო, მეთევზეობისა და აკვაკულტურის ფონდი (EMFAF)
თემა	EMFAF-2023-PIA-FLAGSHIP-2-BLACK
დაწყების თარიღი	2023 წლის 1 ოქტომბერი
ხანგრძლიობა	37 თვე
კოორდინატორი	თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი (AUTh), საბერძნეთი
პროექტის პარტნიორები	შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (BSNN), ბულგარეთი უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საბაზრო და ეკონომიკურ-ეკოლოგიური კვლევების ინსტიტუტი (IMEER-NASU), უკრაინა უკრაინის ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის შავი ზღვის ფილიალი (BSBUEAS), უკრაინა საზღვაო კვლევებისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი „გრიგორე ანტიპა“ (NIMRD), რუმინეთი საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები – საქართველო (GMG/FoE-GE), საქართველო

Co-funded by the European Union

პროექტი RESPONSE თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, საგრანტო შეთანხმების №101124661 ფარგლებში. გამოხატული მოსაზრებები და შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ან ევროპის კლიმატის, ინფრასტრუქტურისა და გარემოს აღმასრულებელი სააგენტოს (CINEA) პოზიციას. მათზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება არც ევროკავშირს და არც გრანტის გამცემ ორგანოს.



სარჩევი

I. რატომ არის ეს პროექტი საჭირო?

საზღვაო დაბინძურების ახალ გამოწვევებზე რეაგირება
საერთო ზღვა, საერთო პასუხისმგებლობა
ჩართული პარტნიორები

II. გამოწვევიდან მოქმედებამდე

გამოწვევების გააზრება საგანგებო სიტუაციებისთვის მოსამზადებლად
RESPONSE მოკლედ
ექვსი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ნაბიჯი და კონკრეტული შედეგები

III. პროექტის შედეგები

ძირითადი მიღწევები
RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი
RESPONSE-ის რეპლიკაციის სახელმძღვანელო
RESPONSE-ის რეგიონული სამოქმედო გეგმა

IV. RESPONSE პროექტის დასრულების შემდეგ

პრაქტიკის საზოგადოების ჩამოყალიბება

დასკვნები



I. რატომ არის ეს პროექტი საჭირო?

საზღვაო დაბინძურების ახალ გამოწვევებზე რეაგირება

შავი ზღვა უნიკალური ეკოსისტემა

შავი ზღვა მრავალი გარემოსდაცვითი საფრთხის წინაშე დგას, რომლებიც მის სანაპირო ქვეყნებს სასწრაფო და კოორდინირებულ მოქმედებას სთხოვს. ხმელეთზე წარმოშობილი წყაროებიდან დაბინძურება შავ ზღვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. უზარმაზარი წყალშემკრები აუზისა და დიდ სიღრმეებზე ჟანგბადის დეფიციტის გამო, ხმელეთიდან შემოტანილ ნივთიერებებს ადგილობრივ ეკოსისტემაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეუძლია. შავ ზღვაში ჩაედინება ევროპის ხმელეთის ფართობის მესამედზე მეტი ტერიტორიიდან შეგროვებული წყალი. დუნაისა და შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ჩამომავალი მდინარეების წყლის ხარისხი დიდწილად განსაზღვრავს შავი ზღვის დასავლეთი აუზის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

მდინარეებს სოფლის მეურნეობიდან დიდი რაოდენობით აზოტი და ფოსფორი ჩამოაქვთ, რაც ევტროფიკაციას იწვევს.

სანაპიროებზე გამორიყული მყარი ნარჩენებისა და პლასტიკის წყაროებია ურბანული ზედაპირული ჩამონადენი, დაუმუშავებელი ჩამდინარე წყლების მატარებელი შენაკადები, ადგილობრივი ტურისტული საქმიანობა და მიმდებარე ტერიტორიები.

ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებები, პესტიციდები, მძიმე მეტალები და მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები გროვდება სედიმენტებსა და ზღვის ორგანიზმებში და უშუალოდ აზიანებს ბიომრავალფეროვნებასა და თევზის მარაგებს.

საზღვაო ტრანსპორტით, ოფშორული საქმიანობითა და სამრეწველო ავარიებით გამოწვეული ნავთობისა და ქიმიური ნივთიერებების დაღვრა დაბინძურების ყველაზე მძიმე ფორმებს შორისაა.

თითქმის დახურული ზღვის ბუნების გამო, მდგრადი დამაბინძურებლები დროთა განმავლობაში გროვდება და ძლიერ ზემოქმედებს შავი ზღვის ჟანგბადიან ზედაპირულ ფენაზე. ნავთობი წყლის ზედაპირზე წარმოქმნის აპკს, რომელიც აფერხებს ჟანგბადის მიმოცვლას და უკიდურესად ტოქსიკურია ზღვის ცოცხალი ორგანიზმებისთვის.

შეიარაღებული კონფლიქტებით გამოწვეული დაბინძურება შავი ზღვისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური საფრთხეა. იგი აერთიანებს დაბინძურების მრავალ წყაროს, ძნელად პროგნოზირებადია და ზღვის ეკოსისტემაზე ხანგრძლივ გავლენას ახდენს. ზემოქმედება მხოლოდ კონფლიქტის ზონებით არ შემოიფარგლება და ზღვის ცირკულაციის საშუალებით შეიძლება მთელ შავ ზღვაზე გავრცელდეს. საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები შესაძლოა წლების ან ათწლეულების განმავლობაშიც კი აქტიური დარჩეს.




საერთო ზღვა, საერთო პასუხისმგებლობა

საერთაშორისო შეთანხმებებისა და მონიტორინგის პროგრამების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ხარვეზი კვლავ რჩება: საზღვაო დაბინძურების ინციდენტებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელთ ხშირად არ აქვთ პრაქტიკული, სტანდარტიზებული და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი მომზადება.

რეაგირების პროტოკოლები ქვეყნებს შორის განსხვავდება და სასწავლო პროგრამების უმეტესობა ჯერ კიდევ არ მოიცავს ახალი ტიპის საფრთხეებს, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებულ საფრთხეებს.

კოორდინირებული სწავლებისა და სანაპირო ქვეყნებს შორის ქმედითი თანამშრომლობის ნაკლებობა აფერხებს გარემოსდაცვით ინციდენტებზე რეაგირებას და ადგილობრივი დაბინძურების შემთხვევებს შეიძლება რთულად სამართავ რეგიონულ კატასტროფებად აქცევდეს.

ამჟამად შავი ზღვის თითოეულ ქვეყანას საზღვაო დაბინძურებაზე საგანგებო რეაგირების საკუთარი სისტემა აქვს, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება და ხშირად ერთმანეთთან შეჯერებული არ არის, რაც რეგიონის ერთობლივი რეაგირების შესაძლებლობას ზღუდავს.



შავ ზღვაში გამოვლენილი საზღვაო დაბინძურების ძირითადი წყაროები

ჩართული პარტნიორები

ექვსი პარტნიორი ხუთი ქვეყნიდან

შავი ზღვა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული საზღვაო ეკოსისტემაა. მისი დაცვა მხოლოდ სამეცნიერო ცოდნას ან ცალკეული ქვეყნების ძალისხმევას არ ეყრდნობა. რადგან დაბინძურება სახელმწიფო საზღვრებს კვეთს, ეფექტიანი მზადყოფნა დამოკიდებულია თანამშრომლობაზე, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებაზე და შავი ზღვის ყველა ქვეყანას შორის კოორდინირებულ მოქმედებაზე. ამ საჭიროების გათვალისწინებით, პროექტმა RESPONSE გააერთიანა კვლევითი ინსტიტუტები, აკადემიური წრეები, სახელმწიფო უწყებები, პრაქტიკოსები და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების საერთო ჩარჩოს შესაქმნელად.

შავი ზღვის დაცვა მოითხოვს საერთო ხედვასა და ცოდნას, ასევე სახელმწიფო საზღვრებს მიღმა კოორდინირებულ მოქმედებას. RESPONSE-მა სამეცნიერო ექსპერტიზა, პრაქტიკული სწავლება, ციფრული ინოვაცია და პოლიტიკის შემუშავება გააერთიანა, რათა ხელი შეეწყო დაბინძურების პრევენციის, მზადყოფნისა და საგანგებო რეაგირებისადმი უფრო კოორდინირებული და მდგრადი რეგიონული მიდგომისთვის.

ეს მიზნები მიღწეული იქნა შავი ზღვის რეგიონის სხვადასხვა ქვეყნიდან ურთიერთშემავსებელი გამოცდილების მქონე ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით, რომლებიც პროექტის კონსორციუმში გაერთიანდნენ:

თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი (AUTh) პროექტ RESPONSE-ის წამყვანი ბენეფიციარია.

AUTh საბერძნეთის უდიდესი უნივერსიტეტია, რომელსაც ევროპულ კვლევით სივრცეში, ასევე სხვადასხვა საჯარო უწყებასა და დაინტერესებულ მხარესთან სწავლებისა და ქსელური თანამშრომლობის მიმართულებით მყარი გამოცდილება გააჩნია. AUTh-ის გუნდი მონაწილეობდა მრავალ პროექტში, მათ შორის Horizon 2020-ის პროექტებში INCENTIVE – მოქალაქეთა მეცნიერების ჰაბების შექმნის შესახებ – და FutureMARES – კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ საზღვაო ეკოსისტემურ სერვისებსა და ბიომრავალფეროვნებაზე.

შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (BSNN)

BSNN არის ბულგარეთის ქალაქ ვარნაში დაფუძნებული გარემოსდაცვითი ორგანიზაციების რეგიონული ქსელი, რომელსაც შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კომისიაში დამკვირვებლის სტატუსი აქვს და რეგიონში წარმატებით განხორციელებული პროექტების მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნია. ქსელი კონსორციუმის სხვა ოთხ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა როგორც კოორდინატორის, ისე ერთობლივი პროექტების პარტნიორის როლში.

ჩართული პარტნიორები

უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საბაზრო და ეკონომიკურ-ეკოლოგიური კვლევების ინსტიტუტი (IMEER NASU)

უკრაინის ქალაქ ოდესაში მდებარე IMEER NASU არის უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში შემავალი საჯარო დაწესებულება. ის აქტიური კვლევითი ინსტიტუტია, რომელსაც ბუნებრივი რესურსების მართვის გამოცდილება გააჩნია სოციალური მეცნიერებების კუთხით.

უკრაინის ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის შავი ზღვის ფილიალი (BSBUEAS)

ოდესაში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია პროფესიონალ მკვლევართა გუნდით. მათი ექსპერტიზა მოიცავს საზღვაო ეკოლოგიასა და ოკეანოგრაფიას, ეკონომიკას, დაინტერესებულ მხარეთა ანალიზსა და მოქალაქეთა მეცნიერებას. გუნდის წევრები მონაწილეობდნენ შავი ზღვის აუზის პროგრამის რეგიონულ გარემოსდაცვით პროექტებში (MARLITER, BSB-CIRCLECON).

საზღვაო კვლევებისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი „გრიგორე ანტიპა“ (INCDM – NIMRD)

რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში მდებარე NIMRD შავი ზღვის აუზის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ინსტიტუტია. იგი აქტიურად მონაწილეობს მრავალ რეგიონულ პროექტში, რომლებიც საზღვაო გარემოს მონიტორინგსა და დაბინძურების შეფასებას ეხება, და საიმედო პარტნიორია Horizon 2020-ის პროექტებში, მათ შორის BS CONNECT, DOORS და BRIDGE.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები (GMG/FoE-GE)

არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო გარემოსდაცვითი ქსელის ნაწილია და ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეა. იგი ახორციელებს ევროპის თანამშრომლობის სააგენტოების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, ხოლო გუნდის წევრები მონაწილეობენ Horizon Europe-ის პროექტებში, რომლებიც შავი ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობას ეხება.



II. გამოწვევიდან მოქმედებამდე

გამოწვევების გააზრება საგანგებო სიტუაციებისთვის მოსამზადებლად


საზღვაო დაბინძურება საზღვრებს არ ცნობს

საზღვაო დაბინძურების საგანგებო შემთხვევებზე რეაგირება მხოლოდ ტექნიკურ ცოდნას არ მოითხოვს. ეფექტიანი რეაგირება დამოკიდებულია კარგად მომზადებულ პერსონალზე, მკაფიო ოპერაციულ პროცედურებსა და ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე ინსტიტუციებს შორის ძლიერ თანამშრომლობაზე.

შავი ზღვის რეგიონის საგანგებო რეაგირების სისტემები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარდა, რის შედეგადაც განსხვავდება სწავლების მიდგომები, ოპერაციული პროცედურები და ინსტიტუციური შესაძლებლობები. ამ განსხვავებებმა საზღვრისპირა დაბინძურების ინციდენტების დროს კოორდინირებული რეაგირება შეიძლება გაართულოს.

ამავე დროს, კლიმატის ცვლილებით, საზღვაო საქმიანობის ზრდითა და შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული ახალი რისკებით განპირობებული საზღვაო დაბინძურების მზარდი სირთულე თანამედროვე, მოქნილი და პრაქტიკული სასწავლო პროგრამების საჭიროებას უსვამს ხაზს.

პროექტი RESPONSE ამ გამოწვევებზე საპასუხოდ შეიქმნა და მიზნად ისახავდა ჰარმონიზებული სასწავლო მეთოდოლოგიების, პრაქტიკული სასწავლო რესურსებისა და თანამშრომლობის მექანიზმების შექმნას, რომლებიც გააძლიერებს რეგიონულ მზადყოფნას, ხელს შეუწყობს საზღვაო დაბინძურების საგანგებო შემთხვევებზე უფრო კოორდინირებულ რეაგირებას და შეამცირებს არსებულ ხარვეზებს.



1. ხმელეთიდან, მდინარეებიდან, სანაპიროებიდან და ზღვაში მიმდინარე საქმიანობიდან წარმოშობილი დამაბინძურებლები ზღვაში ხვდება.

2. დინებები და ქარები დამაბინძურებლებს მთელ აუზში ავრცელებს.

3. ცირკულაციური მორევები (გირები) დამაბინძურებლებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აკავებს და გადაადგილებს.

4.დამაბინძურებლები ზღვის ფსკერის სედიმენტებში ილექება და შემდგომ შესაძლოა კვლავ რესუსპენდირდეს.

5. ზემოქმედება ვრცელდება ზღვის ცოცხალ ორგანიზმებზე, ეკოსისტემებზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და სანაპირო ეკონომიკაზე.

როგორ ვრცელდება დაბინძურება სახელმწიფო საზღვრებს მიღმა

RESPONSE მოკლედ

ექვსი ძირითადი ნაბიჯია დასრულებული

RESPONSE შეიქმნა როგორც შესაძლებლობების განვითარების ინტეგრირებული პროექტი. სამეცნიერო ცოდნა, პრაქტიკული სწავლება, ციფრული ინსტრუმენტები, რეგიონული თანამშრომლობა და პოლიტიკის შემუშავება გაერთიანდა ერთიან ჩარჩოში, რომელსაც შავი ზღვის მთელ აუზში საზღვაო დაბინძურების საგანგებო შემთხვევებისთვის მზადყოფნის გაუმჯობესება შეუძლია.

ექვსი ურთიერთდაკავშირებული სამუშაო ნაბიჯის მეშვეობით RESPONSE-მა გაიარა ლოგიკური გზა რეგიონული საჭიროებების გამოვლენიდან პრაქტიკული გადაწყვეტილებების შექმნამდე.



პროექტის ძირითადი ნაბიჯები და შესაბამისი შედეგები

ექვსი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ნაბიჯი და კონკრეტული შედეგები

1. კონტექსტის გააზრება

ეფექტიანი გადაწყვეტილება პრობლემის მკაფიო გააზრებით იწყება. ამიტომ RESPONSE-მა შავი ზღვის რეგიონის მეცნიერები, საჯარო უწყებები, საგანგებო რეაგირების გუნდები, პედაგოგები და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები გააერთიანა, რათა გამოევლინათ საზღვაო დაბინძურებასთან დაკავშირებული ყველაზე მწვავე გამოწვევები.


სიღრმისეული შეფასების პროცესში პროექტმა მიმოიხილა არსებული სამეცნიერო ცოდნა და გააანალიზა მოქმედი სასწავლო პროგრამები. პრაქტიკული გამოცდილება ასევე შეგროვდა უშუალოდ დაბინძურების პრევენციასა და მასთან ბრძოლაში ჩართული ორგანიზაციებისგან.

ამ პირველმა ძირითადმა ნაბიჯმა შექმნა საერთო ცოდნის ბაზა შემდგომი საქმიანობის წარმართვისთვის და უზრუნველყო, რომ RESPONSE-ის მიერ შემუშავებული სასწავლო ჩარჩო რეალურ ოპერაციულ საჭიროებებს პასუხობდა და არა მხოლოდ თეორიულ დაშვებებს.

ძირითადი შედეგები მოიცავდა შავ ზღვაზე მოქმედი მთავარი საზღვაო დაბინძურების საფრთხეების გამოვლენას, დაინტერესებული მხარეებისა და არსებული სასწავლო შესაძლებლობების შეფასებას, 435-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ანალიზსა და რეგიონის 200-ზე მეტ ორგანიზაციასთან კონსულტაციას.

2. უკეთესი სწავლების ერთობლივად შემუშავება

RESPONSE-მა თანამშრომლობაზე



დაფუძნებული მიდგომა აირჩია და გააერთიანა ექსპერტები, საჯარო უწყებები, უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები და ოპერაციული ორგანიზაციები, რათა შეემუშავებინათ ახალი სასწავლო პროგრამები, რომლებიც ასახავს საზღვაო დაბინძურების პრევენციასა და მასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელთა რეალურ სამუშაო გარემოს.

ეროვნულმა და რეგიონულმა თანაშემოქმედების სამუშაო შეხვედრებმა დაინტერესებულ მხარეებს მისცა შესაძლებლობა გაეზიარებინათ გამოცდილება, გამოევლინათ საერთო მიზნები და უშუალოდ შეეტანათ წვლილი თანამედროვე და მოქნილი სასწავლო პროგრამების შემუშავებაში. ეს თანამშრომლობითი პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების პრაქტიკულობას, აქტუალობასა და სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტზე



ექვსი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ნაბიჯი და კონკრეტული შედეგები

ადაპტირებას. შედეგად შეიქმნა ახალი თაობის სასწავლო მასალები, რომლებიც აერთიანებს სამეცნიერო ცოდნასა და ოპერაციულ გამოცდილებას და ხელს უწყობს შავი ზღვის რეგიონში უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

ამ ნაბიჯის ძირითად შედეგებს შორის იყო ოთხი ეროვნული და ერთი რეგიონული თანაშემოქმედებითი ხასიათის სამუშაო შეხვედრა, მორგებული სასწავლო პროგრამების 20-ზე მეტი წინადადება და მომავალი სასწავლო საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო.







3. ცოდნის ციფრულ რესურსებად გარდაქმნა

ცოდნას ყველაზე დიდი გავლენა მაშინ აქვს, როდესაც ის ადვილად ხელმისაწვდომი და გასაზიარებელია. ამიტომ RESPONSE-მა თავისი სამეცნიერო მიგნებები, სასწავლო მასალები და პრაქტიკული სახელმძღვანელოები უფასო ციფრულ რესურსებად გარდაქმნა და სწავლა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა.

RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი არის ღია პლატფორმა, რომელიც აერთიანებს სასწავლო მოდულებს, სახელმძღვანელო დოკუმენტებს, სასწავლო მასალებს, საუკეთესო პრაქტიკასა და დამხმარე რესურსებს. პედაგოგებისთვის, პრაქტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის შექმნილი ინსტრუმენტი უზრუნველყოფს, რომ პროექტის ცოდნა პროექტის დასრულების შემდეგაც ხელმისაწვდომი დარჩეს.

ძირითადი შედეგები მოიცავდა RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტის შექმნას, ღია წვდომის სასწავლო რესურსების მომზადებას და სასწავლო მასალებისა და პრაქტიკული სახელმძღვანელოების ციფრული არქივის შექმნას.



ექვსი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ნაბიჯი და კონკრეტული შედეგები

4. ცოდნიდან მოქმედებამდე

მზადყოფნის გასაუმჯობესებლად მხოლოდ სწავლება საკმარისი არ არის. ცოდნა უნდა გარდაიქმნას პრაქტიკულ ქმედებებად, რომელთა დანერგვასაც ორგანიზაციები ყოველდღიურ საქმიანობაში შეძლებენ. ამ პროცესის გასამარტივებლად RESPONSE-მა საზღვაო დაბინძურების სწავლების ეროვნული ოპერაციული გეგმების შესამუშავებლად სტრუქტურირებული მეთოდოლოგია შექმნა.

რეგიონული კონსულტაციებისა და ექსპერტთა თანამშრომლობის შედეგად პროექტმა შეიმუშავა პრაქტიკული სახელმძღვანელოები, რომლებიც ქვეყნებს ეხმარება სასწავლო საქმიანობის ორგანიზებაში, დაინტერესებულ მხარეთა კოორდინაციასა და შესაძლებლობების განვითარების გრძელვადიანი პროგრამების ჩამოყალიბებაში.

შეიქმნა სპეციალური 10-ნაბიჯიანი ოპერაციული დაგეგმვის ჩარჩო იმ ინსტიტუციების მხარდასაჭერად, რომლებიც RESPONSE-ის მიდგომის საკუთარ ეროვნულ კონტექსტში გამეორებასა და ადაპტირებას გეგმავენ.

ძირითადი შედეგები მოიცავდა ოთხ ეროვნულ ოპერაციულ გეგმას, 125-ზე მეტი მონაწილის მონაწილეობით გამართულ რეგიონულ საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრას და 10-ნაბიჯიან ოპერაციული დაგეგმვის ჩარჩოს.



ოპერაციული დაგეგმვის *10*-ნაბიჯიანი ჩარჩო

ექვსი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ნაბიჯი და კონკრეტული შედეგები

5. RESPONSE-ის მიდგომების ტესტირება

სასწავლო პროგრამის ფართო მასშტაბით დაინერგვამდე იგი უნდა გამოიცადოს. ამ მიზნით RESPONSE-მა ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე ჩაატარა საპილოტე სასწავლო სესიები ახლადშემუშავებული სასწავლო პროგრამებისა და მასალების ეფექტიანობის შესაფასებლად. ამ საპილოტე კურსებმა მონაწილეთა და ტრენერთა ღირებული უკუკავშირი უზრუნველყო, რამაც პროექტის გუნდს სასწავლო პროგრამების შინაარსის დახვეწისა და სწავლის გამოცდილების გაუმჯობესების შესაძლებლობა მისცა.

იმავდროულად, RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი გამოყენებულ იქნა როგორც ფიზიკურ რეჟიმში, ისე ონლაინ სწავლის მხარდასაჭერად. ტესტირების ეტაპმა დაადასტურა, რომ RESPONSE-ის მეთოდოლოგია მოქნილი, პრაქტიკული და სხვადასხვა ორგანიზაციული და ეროვნული კონტექსტისთვის გამოსადეგია. ძირითადი მიღწეული შედეგებია ოთხი ეროვნული და ერთი რეგიონული საპილოტე სასწავლო პროგრამა, RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტის დანერგვა და სასწავლო პროგრამების შეფასება და დახვეწა.









RESPONSE-ის მიდგომების ტესტირება: საპილოტე სასწავლო სესიები თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში ჩატარდა ახლად შემუშავებული სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო მასალების ეფექტიანობის შესაფასებლად.


ექვსი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ნაბიჯი და კონკრეტული შედეგები


6. RESPONSE-ის შედეგების შემდგომი განვითარება

RESPONSE-ის პროექტის რეალური წარმატება იზომება როგორც განხორციელების პერიოდში მიღწეული შედეგებით, ისე მისი უნარით, ხელი შეუწყოს სამომავლო ინიციატივებს.

გრძელვადიანი გავლენის მაქსიმალურად გასაზრდელად პროექტმა შეიმუშავა პოლიტიკის რეკომენდაციები, რეგიონული სამოქმედო გეგმა და რეპლიკაციის სახელმძღვანელო, რათა სხვა ორგანიზაციებსა და ქვეყნებს RESPONSE-ის მეთოდოლოგიის დანერგვა და საკუთარ პირობებზე მორგება შეძლებოდათ.

პრაქტიკული ინსტრუმენტების, სასწავლო რესურსებისა და ოპერაციული გამოცდილების გაზიარებით პროექტი





აძლიერებს რეგიონულ ქსელს, რომელიც საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნასა და რეაგირებაზე მუშაობს.

ამგვარად, RESPONSE ტოვებს მდგრად ჩარჩოს, რომელსაც პროექტის ცალკეული შედეგების ფარგლებს გაცილებით სცდება და შეუძლია შავი ზღვის რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ გარემოსდაცვითი მდგრადობის გაძლიერება მომავალშიც გააგრძელოს.

ძირითადი შედეგებია რეგიონული სამოქმედო გეგმა, პოლიტიკის რეკომენდაციები, რეპლიკაციის სახელმძღვანელო, გრძელვადიანი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო და გაძლიერებული რეგიონული თანამშრომლობის ქსელი.



III. პროექტის შედეგები

ძირითადი მიღწევები

ინსტრუმენტები, ცოდნა და გრძელვადიანი გავლენა

RESPONSE-ის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა ინტეგრირებული ჩარჩო, რომელიც ცოდნას, პრაქტიკულ ინსტრუმენტებსა და განხორციელების სახელმძღვანელო მიდგომებს აერთიანებს. იგი მოიცავს სამ ურთიერთშემავსებელ შედეგს: ღია წვდომის ციფრულ ინსტრუმენტს, რეპლიკაციის პრაქტიკულ ჩარჩოსა და რეგიონულ სამოქმედო გეგმას შავი ზღვის აუზში საზღვაო დაბინძურების საგანგებო შემთხვევებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გასაძლიერებლად. ეს რესურსები ორგანიზაციებს ეხმარება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და პროექტის შედეგების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფაში.

ციფრული ინსტრუმენტი ღია წვდომის ცოდნის ჰაბს წარმოადგენს და აერთიანებს პროექტის განმავლობაში შემუშავებულ სასწავლო მასალებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს.

რეპლიკაციის სახელმძღვანელო ორგანიზაციებს სთავაზობს სტრუქტურირებულ გზამკვლევს საკუთარი საზღვაო დაბინძურების სასწავლო პროგრამების შესაქმნელად, დასანერგად და უწყვეტად გასაუმჯობესებლად. ერთობლივად ეს ორი კომპონენტი სამეცნიერო ცოდნას პრაქტიკულ მოქმედებად გარდაქმნის და ხელს უწყობს ჰარმონიზებულ სწავლებას, უფრო ძლიერ ინსტიტუციურ თანამშრომლობასა და საზღვაო დაბინძურებისთვის უფრო მდგრად მზადყოფნას შავი ზღვის რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ.

რეგიონული სამოქმედო გეგმა ქმნის საერთო სტრატეგიულ ჩარჩოს შავი ზღვის აუზში საზღვაო დაბინძურების საგანგებო შემთხვევებისთვის მზადყოფნის გასაძლიერებლად და მათზე რეაგირების ჰარმონიზებული სასწავლო სისტემების გრძელვადიანი განვითარებისთვის. იგი ეფუძნება სამეცნიერო ანალიზს, რეგიონული საჭიროებების შეფასებასა და ეროვნული უწყებების, ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების მჭიდრო თანამშრომლობას.



ცოდნიდან გავლენამდე – *RESPONSE*-ის სამი მთავარი შედეგი


RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი

პროექტმა RESPONSE შეიმუშავა მომხმარებელზე ორიენტირებული პლატფორმა – RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი (www.response-toolkit.com) – რათა შავი ზღვის რეგიონის დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო საზღვაო დაბინძურების ინციდენტებისთვის ეფექტიანი მზადყოფნისა და რეაგირებისთვის საჭირო რესურსები.

ციფრული ინსტრუმენტი შეიქმნა ფართო თანაშემოქმედებითი პროცესის შედეგად, რომელშიც მონაწილეობდნენ საჯარო უწყებები, მკვლევრები, საგანგებო რეაგირების სპეციალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და შავი ზღვის რეგიონის სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეები.

ინსტრუმენტი მოიცავს მოდულური სასწავლო პროგრამების პორტფელს, რომლის მორგებაც შესაძლებელია სხვადასხვა ოპერაციულ კონტექსტზე, ინსტიტუციურ მოთხოვნებსა და სამიზნე აუდიტორიებზე.

მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო რესურსებზე უფასო და გამარტივებული წვდომით RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი ორგანიზაციებს საკუთარი სასწავლო საქმიანობის შემუშავების შესაძლებლობას აძლევს. იგი ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებასა და ჰარმონიზებულ სასწავლო მიდგომებს და ამით აძლიერებს პროფესიონალთა საზოგადოებას, რომელიც საზღვაო დაბინძურების ინციდენტებზე რეაგირებისთვის მზად არის.



RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტის ძირითადი ელემენტები

RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი

RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი სამ ძირითად ფუნქციას სთავაზობს მომხმარებლებს:

- **ძირითადი სასწავლო პროგრამები:** გამოსაყენებლად მზა სასწავლო პროგრამების სრულყოფილი ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს დაბინძურების სხვადასხვა ტიპს, თემატურ მიმართულებებსა და დაინტერესებულ მხარეთა პროფილებს; შესაძლებელია მასალების ჩამოტვირთვა და ეროვნულ ან რეგიონულ სასწავლო მიზნებზე მორგება.
- **სასწავლო პროგრამის კონსტრუქტორი:** ინტერაქტიული ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებლებს კონკრეტული დაბინძურების სცენარების, თემებისა და სამიზნე აუდიტორიებისთვის მორგებული სასწავლო პროგრამების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.
- **კურსების სრული ბიბლიოთეკა**: ცალკეული კურსებისა და სასწავლო მასალების კრებული, რომელიც მოიცავს საზღვაო დაბინძურების ინციდენტებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემას. ყველა რესურსი ღია წვდომისაა, შესაძლებელია მათი ჩამოტვირთვა და რედაქტირება.


საზღვაო დაბინძურების გააზრება



ციფრული ინსტრუმენტის მასალებში განხილული დაბინძურების ტიპების მაგალითები

RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი

თემის/საზოგადოების რეაგირების მხარდაჭერა

 **ნავთობის დაღვრაზე რეაგირება**	საბაზისო ქმედებები დასუფთავების მხარდასაჭერად და ბიომრავალფეროვნების დასაცავად
 **ჩაძირულ გემებთან დაკავშირებულ შემთხვევებზე რეაგირება**	ჩაძირული გემების ირგვლივ ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა
 **საზღვაო დაბინძურება შეიარაღებული კონფლიქტების დროს**	რისკების გააზრება და მოხალისეთა უსაფრთხო ჩართულობა
 **საზღვაო ნარჩენები და პლასტიკით დაბინძურება**	საზღვაო ნარჩენების შემცირება და შეკრება
 **ევტროფიკაცია და წყალმცენარეების ყვავილობა**	წყალმცენარეთა ყვავილების გამოვლენა და ინციდენტების შეტყობინება
 **ველური ბუნების დაცვა და გადარჩენა**	როგორ დავიცვათ, გადავარჩინოთ და გავუწიოთ დახმარება ზღვის ველურ ბუნებასა და ჰაბიტატებს

ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილ ციფრული ინსტრუმენტის მასალებში განხილული თემების მაგალითები

RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი

ოპერაციული შესაძლებლობების გაძლიერება

 მონიტორინგი და შეფასება	გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვება და ინტერპრეტაცია
 დედამიწაზე დაკვირვება	სატელიტური მონაცემებისა და ტექნოლოგიების გამოყენება დაბინძურების გამოსავლენად და მონიტორინგისთვის
 ოპერაციული რეაგირება	სტრატეგიები, აღჭურვილობა და საველე ოპერაციები
 ინციდენტების მართვა	დაგეგმვა, კოორდინაცია და გადაწყვეტილებების მიღება
 ჩაძირული გემები და საზღვაო საფრთხეები	წყალქვეშა საფრთხეების შეფასება და მათზე რეაგირება
 შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული დაბინძურება	რისკების, ზემოქმედებისა და რეაგირების ვარიანტების გაღრმავებული გააზრება
 ნავთობის დაღვრა	რეაგირების მოწინავე მეთოდები და გარემოს დაცვა
 ველური ბუნების დაცვა და გადარჩენა	როგორ დავიცვათ, გადავარჩინოთ და გავუწიოთ დახმარება ზღვის ველურ ბუნებასა და ჰაბიტატებს
 საზღვაო დამაბინძურებლები	ქიმიური ნივთიერებები, მძიმე მეტალები და ახალი ტიპის დამაბინძურებლები

პროფესიონალებისა და სპეციალისტებისთვის განკუთვნილ ციფრული ინსტრუმენტის მასალებში განხილული თემების მაგალითები

RESPONSE-ის რეპლიკაციის სახელმძღვანელო


საზღვაო დაბინძურება ეროვნული საზღვრების მიღმა გავრცელებული გამოწვევაა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნებს განსხვავებული ინსტიტუციური სტრუქტურები, გარემო პირობები და სასწავლო საჭიროებები აქვთ, RESPONSE-ის კონსორციუმმა შეიმუშავა პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც ორგანიზაციებს RESPONSE-ის მეთოდოლოგიის უბრალოდ გადმოღების ნაცვლად მის საკუთარ პირობებზე მორგებაში ეხმარება.

სახელმძღვანელო გვთავაზობს მოქნილ ჩარჩოს, რომელიც ადგილობრივ პრიორიტეტებზე შეიძლება მოერგოს და ამავდროულად შეინარჩუნოს თანამშრომლობის, სამეცნიერო სრულყოფისა და გრძელვადიანი მდგრადობის ფუნდამენტური პრინციპები. იგი განკუთვნილია ყველა ზომისა და სხვადასხვა სექტორის ორგანიზაციისთვის.

რეპლიკაციის სახელმძღვანელო შვიდსაფეხურიანი გზამკვლევია, რომელიც RESPONSE-ის პროექტში დაგროვილ გამოცდილებას მკაფიო განხორციელების გზად გარდაქმნის და მისი გამოყენება ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას შეუძლია.

შვიდი ურთიერთდაკავშირებული ნაბიჯის მეშვეობით იგი ხელს უწყობს საზღვაო დაბინძურების სფეროში თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას – ადგილობრივი საჭიროებების საწყისი შეფასებიდან გრძელვადიან ინსტიტუციურ ინტეგრაციამდე.

რეპლიკაციის სახელმძღვანელო ორგანიზაციებს ეხმარება ცალკეული სასწავლო აქტივობებიდან სტრუქტურირებულ და მდგრად შესაძლებლობების განვითარების სისტემაზე გადასვლაში.



რეპლიკაციის სახელმძღვანელოს შვიდფაზიანი გზამკვლევი

RESPONSE-ის რეპლიკაციის სახელმძღვანელო

შვიდნაბიჯიანი მეთოდოლოგია ინსტიტუციებს ეხმარება, შეიმუშაონ მათ გარემოსდაცვით, სამართლებრივ და ორგანიზაციულ კონტექსტზე მორგებული სასწავლო პროგრამები. მოქნილი ჩარჩო გამოიყენება როგორც შავი ზღვის, ისე ევროპის სხვა საზღვაო რეგიონებში, რომლებიც მსგავს გამოწვევებს აწყდებიან.

ფაზა A – მომზადება და შესაბამისობის უზრუნველყოფა. მიზანია ადგილობრივი კონტექსტისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა, ასევე ინიციატივის შესაბამისობის უზრუნველყოფა მოქმედ პოლიტიკასთან, ინსტიტუციურ პრიორიტეტებსა და ხელმისაწვდომ რესურსებთან.

ფაზა B – საჭიროებების შეფასება. ამ ფაზაში ფასდება ორგანიზაციის არსებული შესაძლებლობები, ცოდნის ხარვეზები და მზადყოფნისა და რეაგირების გასაძლიერებლად საჭირო კომპეტენციები. შედეგები საფუძვლად ედება მოქმედების პრიორიტეტების განსაზღვრას.

ფაზა C – დიზაინი და თანაშემოქმედება. მიზანია სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა. საჯარო უწყებებთან, მკვლევრებთან, საგანგებო რეაგირების სპეციალისტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით ამ ფაზაში იქმნება სასწავლო პროგრამები, რომლებიც რეალურ ოპერაციულ საჭიროებებსა და რეგიონულ პრიორიტეტებს ასახავს.

ფაზა D – ციფრული ინსტრუმენტის კონფიგურაცია. სასწავლო მასალები, პრაქტიკული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები ერთიანდება RESPONSE-ის ციფრულ ინსტრუმენტში, რათა ცოდნის გაზიარება, განახლება და ხელახალი გამოყენება მარტივი იყოს. სასწავლო შინაარსის შემუშავების შემდეგ ის გარდაიქმნება ხელმისაწვდომ ციფრულ სასწავლო გარემოდ.

ფაზა E – ოპერაციონალიზაცია და განხორციელება. ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციების მომზადებაზე სწავლების ჩასატარებლად. ეს მოიცავს ოპერაციული გეგმების შემუშავებას, სასწავლო საქმიანობის ორგანიზებას და წარმატებული განხორციელებისთვის საჭირო მმართველობისა და კოორდინაციის მექანიზმების ჩამოყალიბებას.

ფაზა F – საპილოტე ტესტირება და დახვეწა. სასწავლო პროგრამა რეალურ პირობებში გამოიცდება. მონაწილეთა და ტრენერთა უკუკავშირი გამოიყენება საგანმანათლებლო მასალებისა და სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად, რათა პროგრამამ ეფექტიანად მიაღწიოს თავის მიზნებს.

ფაზა G – პოლიტიკაში ინსტიტუციონალიზაცია. დასკვნითი ფაზა ორიენტირებულია სასწავლო ჩარჩოს ინსტიტუციურ პრაქტიკაში ინტეგრაციაზე. მეთოდოლოგიის პოლიტიკაში, საგანმანათლებლო პროგრამებსა და ორგანიზაციულ პროცედურებში ჩართვით RESPONSE-ის მიდგომას შეუძლია პროექტის დასრულების შემდეგაც განვითარდეს და საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნას ხელი შეუწყოს.

RESPONSE-ის რეგიონული სამოქმედო გეგმა

რეგიონული სამოქმედო გეგმა აგებულია ორ ურთიერთშემავსებელ სტრატეგიულ მიზანზე: რეგიონული შესაძლებლობების გაძლიერებასა და რეგიონული თანამშრომლობის განვითარებაზე.

რეგიონული შესაძლებლობების გაძლიერება გულისხმობს ინსტიტუციებისა და მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ისეთი ქსელის განვითარებას, რომელსაც შეუძლია ზღვის გარემოს როგორც ტრადიციული, ისე ახალი საფრთხეების პრევენცია, მათთვის მზადება და ეფექტიანი რეაგირება. ძირითადი პრიორიტეტებია ჰარმონიზებული სასწავლო პროგრამებისა და ციფრულ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული თანამედროვე სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა, ერთობლივი სწავლებების/წვრთნების განვითარება და ოპერაციული მზადყოფნის გაუმჯობესება – ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ახალი გარემოსდაცვითი რისკებისთვის მზადყოფნის გასაძლიერებლად.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება გულისხმობს ცოდნის გაცვლასა და გეგმების კოორდინაციას საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების მდგრადი რეგიონული ჩარჩოს შესაქმნელად. აქ პრიორიტეტულია საზღვრისპირა თანამშრომლობა, საერთო მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვა, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა და პოლიტიკის კოორდინაცია, რათა პროექტის შედეგების გრძელვადიანი მდგრადობა და სხვა გარემოში გამეორების შესაძლებლობა იყოს უზრუნველყოფილი.



რეგიონული სამოქმედო გეგმის ორი ურთიერთშეთანხმებული სტრატეგიული მიზანი

RESPONSE-ის რეგიონული სამოქმედო გეგმა

რეგიონული სამოქმედო გეგმა სამომავლო ქმედებებისთვის პრაქტიკულ გზამკვლევს წარმოადგენს. საერთო პრიორიტეტების განსაზღვრითა და თანმიმდევრული სასწავლო მეთოდების წახალისებით ის შავი ზღვის ქვეყნებს ეხმარება შექმნან უფრო კოორდინირებული, მდგრადი და მომავალზე ორიენტირებული მზადყოფნის სისტემა, რომელსაც შეუძლია საზღვაო დაბინძურების როგორც არსებული, ისე ახალი რისკების მართვა. რეგიონული სამოქმედო გეგმა ხუთ სტრუქტურირებულ ეტაპად შემუშავდა:

1. საზღვაო დაბინძურებასთან დაკავშირებული მიმდინარე საფრთხეების შეფასება.
2. სწავლებისა და შესაძლებლობების განვითარების ხარვეზების გამოვლენა.
3. ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტირება.
4. ინსტიტუციური საჭიროებების ანალიზი.
5. რეგიონისთვის პრაქტიკული პრიორიტეტული ქმედებების განსაზღვრა.



ხუთი ეტაპი, რომელთა საფუძველზეც რეგიონული სამოქმედო გეგმა შემუშავდა

RESPONSE-ის რეგიონული სამოქმედო გეგმა

მტკიცებულებებზე დაფუძნებულმა ამ მიდგომამ უზრუნველყო, რომ შემოთავაზებული ქმედებები ასახავდეს იმ რეალურ გამოწვევებს, რომლებსაც საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები აწყდებიან.

ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ რეგიონული სამოქმედო გეგმა მოიცავს საზღვაო დაბინძურების როგორც ტრადიციულ, ისე ახალ საფრთხეებს. იგი ითვალისწინებს შავ ზღვაზე მოქმედ გარემოსდაცვით საფრთხეთა ფართო სპექტრს, მათ შორის:



ნავთობის დაღვრა და ნახშირწყალბადებით დაბინძურება



სახიფათო და ქიმიური დამაბინძურებლები



ნუტრიენტებით დაბინძურება და ევტროფიკაცია



უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებული დაბინძურება

ძირითადი გარემოსდაცვითი საფრთხეები

რომლებიც შავ ზღვაზე მოქმედებს

საზღვაო ნარჩენები და პლასტიკით დაბინძურება



რადიოაქტიური დაბინძურება



ბალასტური წყლები და ინვაზიური სახეობები



კლიმატის ცვლილება, როგორც გარემოსდაცვითი რისკების გამაძლიერებელი ფაქტორი



ამ მუდმივად ცვალებადი გამოწვევების ერთ სტრატეგიულ ჩარჩოში გაერთიანებით რეგიონული სამოქმედო გეგმა გვთავაზობს მითითებებს, რომლებიც ასახავს როგორც დღევანდელ გარემოსდაცვით რეალობას, ისე სამომავლო მზადყოფნის საჭიროებებს.



IV. RESPONSE პროექტის დასრულების შემდეგ

პრაქტიკის საზოგადოების ჩამოყალიბება

RESPONSE-ის წარმატება მხოლოდ სამეცნიერო შედეგებსა და ინოვაციურ სასწავლო ინსტრუმენტებზე არ ყოფილა დაფუძნებული; მნიშვნელოვანი საფუძველი იყო შავი ზღვის რეგიონის დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი დიალოგიც. პროექტის განმავლობაში კომუნიკაციისა და შედეგების გავრცელების საქმიანობამ ცენტრალური როლი შეასრულა თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობაში და უზრუნველყო, რომ პროექტის შედეგები იმ ორგანიზაციებსა და პროფესიონალებს მისწვდომოდა, ვისაც მათგან ყველაზე მეტი სარგებლის მიღება შეეძლო. RESPONSE-მა სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, ქსელური ღონისძიებების, სამეცნიერო შეხვედრებისა და ციფრული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით შექმნა აქტიური რეგიონული საზოგადოება, რომელიც საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გაძლიერებას ემსახურება.

სამწლიანი განხორციელების პერიოდში RESPONSE აქტიურ კომუნიკაციისა და შედეგების გავრცელების პროგრამას ახორციელებდა. პროგრამა მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, ცოდნის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობას და პროექტის შედეგების საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებამდე მიტანას. სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, ქსელური ღონისძიებების, საპილოტე სწავლებებისა და სტრატეგიული თანამშრომლობის გზით პროექტმა შავი ზღვის მასშტაბით პრაქტიკის მზარდი რეგიონული საზოგადოება ჩამოაყალიბა.

1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და თანაშემოქმედება

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა RESPONSE-ის პროექტის განმსაზღვრელი მახასიათებელი იყო. ეროვნულმა და რეგიონულმა სამუშაო შეხვედრებმა საჯარო უწყებებს, მკვლევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საგანგებო რეაგირების სპეციალისტებს, უნივერსიტეტებსა და საზღვაო ორგანიზაციებს მისცა პლატფორმა პროექტის სასწავლო მასალების, ციფრული ინსტრუმენტისა და რეგიონული სამოქმედო გეგმის ერთობლივი შემუშავების, განხილვისა და ვალიდაციისთვის. ძირითად საქმიანობებს შორის იყო ოთხი ეროვნული თანაშემოქმედებითი სამუშაო შეხვედრა პარტნიორ ქვეყნებში და ერთი რეგიონული შეხვედრა, ოპერაციული დაგეგმვის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა რეგიონული ონლაინ სამუშაო შეხვედრა, რეგიონული საკონსულტაციო შეხვედრები ვარნაში და რეგიონული სამოქმედო გეგმის ვალიდაციის ინტერაქტიული World Café სესია.

ამ მონაწილეობითმა ღონისძიებებმა უზრუნველყო, რომ პროექტის შედეგები რეალურ ოპერაციულ საჭიროებებს ასახავდა და ამავდროულად შავი ზღვის ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობას აძლიერებდა.

პრაქტიკის საზოგადოების ჩამოყალიბება

2. სწავლება, საპილოტე ქმედებები და შესაძლებლობების განვითარება

შედეგების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ცოდნის პრაქტიკულ უნარებად გარდაქმნა იყო. კონსორციუმმა მოაწყო საპილოტე სასწავლო პროგრამები, სემინარები და პრაქტიკული სავარჯიშოები საჯარო უწყებების, სამოქალაქო დაცვის ორგანიზაციების, საგანგებო რეაგირების სპეციალისტების, სტუდენტების, მოხალისეებისა და გარემოსდაცვითი პროფესიონალების მონაწილეობით.

სასწავლო საქმიანობა მოიცავდა ტრადიციულ საზღვაო დაბინძურებას, შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ დაბინძურებას, ველური ბუნების დაცვას, საგანგებო სიტუაციების მართვასა და ოპერაციულ გადაწყვეტილების მიღებას. სტუდენტებისა და მოხალისეების მონაწილეობამ პროექტის გრძელვადიანი საზოგადოებრივი გავლენის გაფართოებას შეუწყო ხელი.









პრაქტიკის საზოგადოების ჩამოყალიბება

3. რეგიონული და საერთაშორისო ღონისძიებები

RESPONSE აქტიურად იყო წარმოდგენილი შავი ზღვის რეგიონისა და ევროპის მნიშვნელოვან ღონისძიებებზე. ამ ღონისძიებებმა პროექტის შედეგების გაზიარების, გამოცდილების გაცვლისა და ახალი დაინტერესებული მხარეების ჩართვის შესაძლებლობა შექმნა. ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები იყო შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის დაინტერესებულ მხარეთა კონფერენცია კონსტანცაში, „Black Sea 2030“ კონფერენცია ბურგასში, რეგიონული საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრები ვარნაში, ეროვნული სემინარები და საინფორმაციო შეხვედრები, სამეცნიერო კონფერენციები და პროექტის განმავლობაში ორგანიზებული თემატური სამუშაო შეხვედრები.









პრაქტიკის საზოგადოების ჩამოყალიბება

4. სინერგიების შექმნა

RESPONSE საკუთარი საქმიანობის ფარგლებს მიღმაც აქტიურად თანამშრომლობდა სხვა რეგიონულ ინიციატივებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო MARMAPS-თან, შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგთან, BS-SEOS-თან და საზღვაო გარემოს დაცვასა და საზღვაო მმართველობას მხარდამჭერ სხვა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან სინერგიების შექმნას. ამ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო პროექტის გავლენის მაქსიმიზაციას, ძალისხმევის დუბლირების თავიდან აცილებასა და სხვადასხვა ინიციატივას შორის ცოდნის გადაცემას.

5. ციფრული კომუნიკაცია

თითოეულმა სამუშაო შეხვედრამ, კონფერენციამ, საპილოტე სწავლებამ და ქსელურმა ღონისძიებამ წვლილი შეიტანა პროექტის შედეგების გაუმჯობესებაში, ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერებასა და საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნასა და რეაგირებაზე მომუშავე პროფესიონალთა რეგიონული ქსელის გაფართოებაში. შავი ზღვის მასშტაბით ორგანიზაციების, ექსპერტებისა და თემების ერთმანეთთან დაკავშირებით RESPONSE-მა სამომავლო თანამშრომლობისა და შესაძლებლობების განვითარების მყარი საფუძველი შექმნა.


კომუნიკაცია ფიზიკური ღონისძიებებით არ შემოიფარგლებოდა. პროექტის განმავლობაში შედეგების გავრცელებას მხარს უჭერდა RESPONSE-ის ვებგვერდი, პროექტის ახალი ამბების სტატიები, სოციალური მედიის არხები, საჯარო დელივერებლები და საინფორმაციო ბიულეტენები.

ამ ინსტრუმენტებმა დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი ჩართულობა უზრუნველყო და გააფართოვა წვდომა პროექტის შედეგებზე, მათ შორის ციფრულ ინსტრუმენტარიუმზე, რეპლიკაციის სახელმძღვანელოსა და რეგიონულ სამოქმედო გეგმაზე.









დასკვნები

RESPONSE-მა შავი ზღვის რეგიონში საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების ცოდნის ბაზა, პრაქტიკული ინსტრუმენტები და თანამშრომლობის ჩარჩო გააძლიერა. პროექტის მთავარ შედეგებს შორისაა სასწავლო სქემები და მასალები, RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტარიუმი, მზადყოფნისა და რეაგირების ოპერაციული ჩარჩო, რეპლიკაციის სახელმძღვანელო და რეგიონული სამოქმედო გეგმა. ეს რესურსები დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით შემუშავდა და სხვადასხვა ეროვნულ და რეგიონულ კონტექსტში სწავლების, მზადყოფნის დაგეგმვის, თანამშრომლობისა და ცოდნის გადაცემის პრაქტიკულ საფუძველს ქმნის.

შავი ზღვის რეგიონის ორგანიზაციები, ინსტიტუციები და დაინტერესებული მხარეები პროექტის სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობდნენ კონსულტაციებში, ერთობლივი შემუშავების საქმიანობაში, სასწავლო სესიებში, საპილოტე ქმედებებში, სამუშაო შეხვედრებსა და რეგიონულ გაცვლებში. ეს დაეხმარა პროექტს, რომ შემუშავებული ინსტრუმენტები და ჩარჩოები ასახავდეს შავი ზღვის ქვეყნების პრაქტიკულ საჭიროებებს, არსებულ შესაძლებლობებსა და განსხვავებულ ინსტიტუციურ კონტექსტებს.

პროექტი ეხებოდა როგორც უკვე კარგად ცნობილ საზღვაო დაბინძურების საფრთხეებს, ისე ახალ გამოწვევებს, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ საფრთხეებს. სწავლების, ცოდნის გაცვლის, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და რეგიონული დიალოგის გზით RESPONSE-მა გააძლიერა შესაძლებლობები და ხელი შეუწყო უფრო მჭიდრო თანამშრომლობას საზღვაო დაბინძურებისთვის მზადყოფნასა და რეაგირებაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის.

RESPONSE-ის ყველა შედეგი და პროდუქტი ხელმისაწვდომია ორგანიზაციებისა და ინსტიტუციებისთვის, რათა მათ საკუთარი საჭიროებებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად გამოიყენონ, მოირგონ და სხვა კონტექსტებშიც დანერგონ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტრუმენტები და მიდგომები ჯერ ოფიციალურად არ არის მიღებული ან ინტეგრირებული ფორმალურ პროცედურებში, ისინი ქმნის პრაქტიკულ საფუძველს სამომავლო სასწავლო საქმიანობისთვის, მზადყოფნის ინიციატივებისთვის, თანამშრომლობის მექანიზმებისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის.

ამგვარად, RESPONSE პროექტის შედეგების უბრალო კრებულზე მეტს წარმოადგენს: იგი გვთავაზობს პრაქტიკული რესურსებისა და თანამშრომლობის გამოცდილი მიდგომების ერთობლიობას, რომელსაც შეუძლია მომავალშიც დაუჭიროს მხარი შესაძლებლობების განვითარებას, ცოდნის გაზიარებასა და რეგიონულ თანამშრომლობას. ამ რესურსების გრძელვადიანი ღირებულება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ, მოარგებენ და განავითარებენ მათ შავი ზღვის რეგიონის ორგანიზაციები, ინსტიტუციები და დაინტერესებული მხარეები.



გაიგეთ მეტი

RESPONSE-ის პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ოფიციალურ ანგარიშებზე წვდომისთვის ან პროექტის გუნდთან დასაკავშირებლად:

- პროექტის ვებგვერდი: www.response-project.com
- RESPONSE-ის ციფრული ინსტრუმენტი: www.response-toolkit.com
- Facebook: facebook.com/responseblacksea
- YouTube: @RESPONSEproject-t4b

ყველა ოფიციალური ანგარიში – ეტაპობრივი შედეგები (Milestones) და დელივერებლები (Deliverables) – უფასოდ ჩამოსატვირთად ხელმისაწვდომია აქ:
www.response-project.com/index.php/resources/

მადლობა და აღიარება

RESPONSE ფინანსდება ევროკავშირის მიერ ევროპის საზღვაო, მეთევზეობისა და აკვაკულტურის ფონდის (EMFAF) მხარდაჭერით, საგრანტო შეთანხმება № 101124661. პროექტი ევროკავშირის უფრო ფართო ვალდებულების ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საზღვაო გარემოს დაცვას და განსაკუთრებული გარემოსდაცვითი საფრთხეების წინაშე მყოფი რეგიონების მდგრადობის გაძლიერებას.

პროექტის ყველა ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია პროექტის ვებგვერდსა და ევროკომისიის პროექტის შედეგების ოფიციალურ პლატფორმაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს სრულ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას ევროპის მოქალაქეებისა და გადასახადის გადამხდელების წინაშე.